

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა
გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ისტორიის პედაგოგის
ნინო ონიაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კვლევის ანგარიში

**მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის ხარისხის
გაუმჯობესების გზების კვლევა დაბალი აკადემიური
მოსწრების მქონე მოსწავლეებში**

2017-2018 სასწ.წ.

სარჩევი

შესავალი - - - - -	3
თავი I	
ლიტერატურის მიმოხილვა - - - - -	4
თავი II 2.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ. სამიზნე ჯგუფი - - - - -	6
2.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევის მიზანი - - - - -	7
თავი III	
3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება - - - - -	8
3.2 სამიზნე ჯგუფი - - - - -	8
3.3 კვლევის მიზანი და ამოცანები - - - - -	9
3.4 კვლევის მეთოდები - - - - -	10
3.5 მონაცემთა ანალიზი - - - - -	17
3.6 მეორადი მონაცემების ანალიზი - - - - -	18
3.7 ინტერვენციების დაგეგმვა - - - - -	18
თავი IV	
4.1 ინტერვენციების განხორციელება - - - - -	19
4.2 ინტერვენციების შედეგების ანალიზი - - - - -	21
თავი V	
5.1 კვლევის მიგნებები - - - - -	25
5.2 რეკომენდაციები - - - - -	25

5.3 კვლევის ნაკლოვანებები - - - - -	26
თავი VI	
6.1 დასკვნა - - - - -	27
6.2 ცხრილი პროექტის ვადების შესახებ- - - - -	28
ბიბლიოგრაფია - - - - -	29
დანართი № 1 - - - - -	30
დანართი № 2 - - - - -	31
დანართი №3 - - - - -	33
დანართი №4 - - - - -	35
დანართი №5 - - - - -	36
დანართი №6 - - - - -	41
დანართი №7 - - - - -	45
რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ - - - - -	48

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის საბაზო საფეხურზე - VII კლასში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია მოტივაციის ამაღლებისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების გზების კვლევა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში. სწავლების პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვივება წარმოადგენს. სწავლის მოტივაციის გაზრდის ტრადიციული მეთოდი გულისხმობდა მოსწავლეების „დამოძღვრას“ სწავლის სიკეთისა და სარგებელის შესახებ. თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეს მიდგომა ეფექტური არ აღმოჩნდა.

თანამედროვე პირობებში სწავლისადმი მოტივაციის გაჩენა/ განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესშიც მოელის, ამიტომ ზოგჯერ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

ზოგიერთი ბავშვი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდი ენთუზიაზმს ამჟღავნებს, სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვივებლად დამატებითი სტიმულაცია, წახალისება სჭირდებათ, რასაც მასწავლებლისგან მოელიან. სწავლასა და მოტივაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ნაშრომი არის ამ მხრის პრაქტიკული ანგარიში, რომელშიც მოცემულია პრობლემები და მის გადასაჭრელად განხორციელებული მუშაობა, ცვლილებები, დაგეგმილი ღონისძიებები.

ნაშრომი შედგება 6 თავისგან. I თავში განხილულია ლიტერატურა გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობისა და ინტერესის გაზრდის შესახებ; II თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლისა და სამიზნე ჯგუფის შესახებ, განხილულია კვლევის მიზანი და დასაბუთებულია პრობლემის აქტუალობა; III თავში ჩამოყალიბებულია საკვლევი კითხვები, კვლევის მეთოდები, ამოცანები, განხორციელებული ინტერვენციები; IV თავში მოცემულია ინტერვენციების შედეგების შეფასება; V თავი ეხება კვლევის მიგნებებს, რეკომენდაციებს და ნაკლოვანებებს; VI თავი ეთმობა დასკვნას და ცხრილს, პროექტის ვადების შესახებ. კვლევას თან ერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები.

ძირითადი დასკვნები: კვლევა მიზნად ისახავდა მე-7 კლასში დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა (სულ 7 მოსწავლე) დაინტერესებას სასწავლო პროცესით, მათ შემობრუნებას წიგნებისკენ, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესების შესწავლას, თანამშრომლობას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან - სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები დამეხმარა უფრო ზუსტად განმესაზღვრა VII კლასში გამოვლენილი პრობლემის რეალური მიზეზები, თუმცა ჩემი პირველადი ვარაუდით შეიძლება ვიფიქრო, რომ მოსწავლეები შეძენილი უნარ-ჩვევებით, კოგნიტური განვითარებისა და სწავლის ტემპით ერთმანეთისგან განსხვავდებიან, რაც მათი სწავლის შედეგებზე აისახება. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ოჯახური გარემოც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ მოტივაციას სწავლის მიმართ. ეს ფაქტორიც აუცილებლად იქნება არსებული პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი. ჩემ მიერ

განხორციელებულმა აქტივობებმა, სასწავლო წლის ბოლოსთვის, შეიძლება ითქვას, რომ გააჯანსაღა და უფრო საინტერესო გახადა სასწავლო გარემო.

I თავი

ლიტერატურის მიმოხილვა

აბრაამ მასლოუს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ წარმომადგენლად მიიჩნევენ. ჰუმანისტური ფსიქოლოგია აერთიანებს ბიჰევიორისტულ და ფსიქოანალიტიკურ მიდგომებს. ბიჰევიორისტული მიდგომის თანახმად, ადამიანის ქცევა გარეგანი სტიმულირებით კონტროლირდება, ხოლო ფსიქოანალიტიკურ მიდგომას ადამიანის ქცევის ძირითად წარმართველ ძალად შინაგანი, არაცნობიერი ძალები მიაჩნდა. მასლოუ უარყოფდა იდეას, რომ ადამიანის ქცევას აკონტროლებენ მხოლოდ შინაგანი ან მხოლოდ გარეგანი ფაქტორები. მას მიაჩნდა, რომ ადამიანის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორივე: შინაგანი და გარეგანი ძალები.

მოტივაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული ადამიანის მოთხოვნილებებით. აბრაამ მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებები ქმნის იერარქიას. მოთხოვნილება თითოეულ დონეზე გარკვეული ინტენსივობით უნდა დაკმაყოფილდეს, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მომდევნო დონეზე გადასვლა. მასლოუ განასხვავებდა ძირითად მოთხოვნილებებს და მეტამოთხოვნილებებს. ძირითადი მოთხოვნილებებია: ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, უსაფრთხოების მოთხოვნილება, სიყვარულისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, თვითშეფასების მოთხოვნილება. მეტამოთხოვნილებები შეიცავს ესთეტიკურ, კოგნიტურ, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს.

მოთხოვნილებები იერარქიულადაა განლაგებული. მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ.

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგანმანათლებლო სისტემაზე. იმისათვის, რომ სასწავლო პროგრამებმა მაქსიმალურად გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, მასწავლებლებმა და სკოლის

ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლეთა მოთხოვნები და მათი იერარქიული თანმიმდევრობა. მასწავლებელმა ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნდა შეძლოს მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნების დადგენა, განსაზღვროს, თუ იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე და რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას. შედეგად მან უნდა შეიმუშაოს ადეკვატური სტრატეგიები, რითაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას და მათი მოტივაციის ამაღლებას.

საყურადღებოა დ. უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია, რომელიც 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა განწყობის თეორიის სახით. დ. უზნაძის მიხედვით, აღზრდის მთავარი ამოცანა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა განახორციელოს თავისი დანიშნულება.

სკოლა კი ის ორგანიზაციაა, რომელიც ამ ფუნქციის შესასრულებლად არსებობს. უზნაძის მიხედვით, განწყობა წარმოადგენს ადამიანის მზაობას გარკვეული ქცევისადმი. „სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული“. მასწავლებელსა და მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს. შესაბამისად, ბავშვს თვითონ გაუჩნდება სწავლის მოთხოვნილება, მისი შესაბამისი განწყობაც და გაეზრდება მოტივაციაც.

მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახვოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარე ცხოვრებას შორის.

თავი II

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ. სამიზნე ჯგუფი

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში. სკოლაში სწავლობს 203 მოსწავლე და მუშაობს 59 თანამშრომელი, აქედან 36 პედაგოგი, მათგან 16 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მატარებელია. გიმნაზია აღჭურვილია კომპიუტერული ლაბორატორიითა და ინტერნეტით. კვლევა განხორციელდა ამავე გიმნაზიის მე-7 კლასში. კლასში სწავლობს 15 მოსწავლე, აქედან 8 მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, ხოლო 7 დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეა. გამოიკვეთა, რომ კლასში მოსწავლეებს შორის არსებობს მკვეთრად განსხვავებული აკადემიური დონე, რამაც საერთო პრობლემა წარმოქმნა როგორც ისტორიის, ისე ინგლისური ენის გაკვეთილზე. ამის გამო გადაწყვიტე ინგლისური ენის პედაგოგთან - ნინო კალანდარიშვილთან ერთად ჩამეტარებინა კვლევა, რომელიც უფრო მეტად დაგვანახებდა პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, რის შემდეგაც მიზნობრივად დაიგეგმებოდა და განხორციელდებოდა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მთელი რიგი ინტერვენციები. ინტერვენციები განვახორციელე ინდივიდუალურად ისტორიის გაკვეთილზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროცესში უშუალოდ ჩართულნი იყვნენ როგორც მოსწავლეები, ისე მათი მშობლები და სხვა საგნის პედაგოგები.

1.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, კვლევის მიზანი

რთულია მოსწავლეთა დაინტერესება საბაზო საფეხურზე, განსაკუთრებით მე-7 კლასიდან. მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ, ნაკლებად აინტერესებთ სასწავლო პროცესი, ეცემა სწავლის ხარისხი დაწყებით კლასებთან შედარებით.

მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, სურთ ბევრ აქტივობაში მიიღონ მონაწილეობა, არ ეზარებათ საშინაო დავალებების შესრულება, ხოლო მე-7 კლასიდან ჩართულობის ხარისხი იკლებს, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი გაკვეთილზე პასიურია, აღარ ასრულებს საშინაო დავალებებს, ზედაპირულად ეკიდებიან სასწავლო პროცესს, რაც უარყოფითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებზე. კლასში მოსწავლეთა ნახევარი დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა, მათ არ გააჩნიათ სწავლისადმი არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია, რადგან არც დაწერილი ქულა აინტერესებთ და არც

სადამსჯელო სანქცია არსებობს, რაც მათი ქცევის ცვლილებას გამოიწვევდა. აქედან გამომდინარე გაგვიჩნდა კითხვები:

- რატომ არის, რომ კლასის ნახევარი (8 მოსწავლე) გულმოდგინედ ასრულებს დავალებებს, მეორე ნახევარი კი სწავლის მაგივრად ჩუმად ყოფნას ამჯობინებს?
- რატომ არ არიან სათანადოდ ჩართულნი დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები სასწავლო პროცესში?

წარმოქმნილი პრობლემიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბეთ მთავარი საკვლევი საკითხი : რა განაპირობებს მე-7 კლასის მოსწავლეებში აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს?

რთული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით, როგორ მოგვეხერხებინა, რომ მოსწავლეებს ესწავლათ ისტორია, ასევე ინგლისური ენა ისე, რომ გაგვეყვანა ისინი შედარებით კარგ შედეგზე, მაშინ როცა კლასში 7 მოსწავლეს არანაირი დაინტერესება და მოტივაცია არ გააჩნდა სწავლის მიმართ.

წინამდებარე კვლევის მიზანია მოტივაციის ამაღლება დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში, რაც გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოკვეთას, რომელიც საჭიროა ესგ-ით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, ასევე გაკვეთილის გამრავალფეროვნება და მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება საგაკვეთილო პროცესში, რაც საბოლოოდ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაზე აისახება.

თავი III

3.1 საკვლევი კითხვების ფორმულირება

კვლევის მთავარი კითხვა იყო, თუ რა განაპირობებს საბაზო საფეხურზე, მე-7 კლასის მოსწავლეებში აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს. მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი ქვეკითხვები:

- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ჩართულობაზე?

- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?
- არის თუ არა სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტები მათთვის მისაღები შინაარსობრივი და იდეური თვალსაზრისით?
- არის თუ არა სირთულე ტექსტების მოცულობაში?
- რამდენ ხანს ანდომებენ სახლში საშინაო დავალების შესრულებას და არის თუ არა ეს დამღლელი მათთვის?
- ხომ არ მდგომარეობს პრობლემების მიზეზები მათ პიროვნულ თვისებებსა და ზოგადად, სწავლისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების არქონაში?
- რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში?
- როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?

საკუთარი დაკვირვებისა და გამოცდილებიდან, ასევე სხვა საგნის მასწავლებლებთან წერილობითი ინტერვიუსა და მსჯელობის შედეგად, გამოიკვეთა სავარაუდო მიზეზები:

- სასწავლო მასალის მოცულობა;
- სწავლის დაბალი მოტივაცია;
- მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები;
- სასწავლო პროგრამაში ჩამორჩენა.

3.2 სამიზნე ჯგუფი

საკვლევი პრობლემის შესასწავლად კვლევაში ჩავრთე მე-7 კლასის ყველა მოსწავლე, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანია როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების მოტივირების ფაქტორების ცოდნა და მათი გათვალისწინება, ასევე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში იმ მიზეზების კვლევა, თუ რატომ აქვთ მათ დაბალი მოტივაცია და სწავლისადმი ნაკლები ინტერესი.

3.3 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია დეტალურად შევისწავლო მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, მათი ინტერესების სფეროები, ვითანამშრომლო მოსწავლეებთან,

მასწავლებლებთან, მშობლებთან. წარმოვაჩინო არსებული სირთულეები და გამოვწახო პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები, რაც მოსწავლეებს დაეხმარება მოტივაციის ამაღლებაში და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში.

აღნიშნული კვლევის ამოცანაა ისტორიისა და ინგლისური ენის გაკვეთილებზე იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, შექმნის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ საგაკვეთილო პროცესს და დაეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.

3.4 კვლევის მეთოდები


კვლევის წარმატებით განხორციელების და კვლევის შედეგების სანდოობის და აღდევადურობის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენეთ თვისებრივი (ზეპირი ინტერვიუ, ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება) და რაოდენობრივი (ლია ანკეტირება) მეთოდები. ამ მეთოდების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფა კვლევის სანდოობას და მაღალ ხარისხს.

პირველად დავიწყეთ უბრალო დაკვირვებით, გაკვეთილზე ვაკვირდებოდით მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურობას, როდის იყვნენ გაკვეთილზე აქტიურები ან პირიქით, პასიურები. დაკვირვების დროს გამოიკვეთა ის პრობლემა, რაც ნამდვილად იყო კლასში, კერძოდ მე-7 კლასის მოსწავლეთა ნახევარში დაბალი მოტივაცია და ნაკლები ინტერესი სწავლისადმი.

ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვება განხორციელდა ისტორიისა და ინგლისური ენის გაკვეთილების მსვლელობისას, როდესაც მოსწავლეებს დაევაღათ წარედგინათ წინასწარ მომზადებული სასწავლო პროექტის პრეზენტაციები. ჩვენი მიზანი იყო რისკის ჯგუფის მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზების დადგენა. მათ მიერ განხორციელებული რამდენიმე აქტივობის დემონსტრირებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული ძლიერი მოსწავლეები, ხოლო სუსტი მოსწავლეები პასიურობდნენ და არ იჩენდნენ სათანადო ინტერესს პროექტის პრეზენტაციის დროს.


პრობლემის რეალური მიზეზების დასადგენად გამოვიყენე მოსწავლეთა წერილობით გამოკითხვა. შევადგინე კითხვარი, რომელიც შედგებოდა 10 დახურული ტიპის კითხვისგან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მოსწავლემ. დაცული იყო ანონიმურობა. კითხვარის შევსების შემდეგ პასუხები დავამუშავე პროცენტული თვალსაზრისით, შესაბამისი დიაგრამების გამოყენებით.

№1. იმისათვის, რომ მაღალი მოტივაცია გქონდეთ ისტორიის გაკვეთილზე, რა ტიპის გაკვეთილი უნდა ჩაგიტარდეთ?




N2. რა ინვეს თქვენი მოტივაციის დაქვეითებას?

მე არ მაშინებს
სირთულე
13%




N3. რა ტიპის მუშაობას ანიჭებთ უპირატესობას?

არანაირს
0%




№ . რა ტიპის ტექსტები გიყვართ?




№ 5. რა ტიპის წერილობითი დავალება მოგწონთ?

- თავისუფალი თემის წერა
- ტესტი დახურული კითხვებით
- ტესტი ღია კითხვებით
- ცხრილების შევსება




№ 6. როგორია შენი როლი გაკვეთილზე?




№ 7. როგორ ფიქრობთ, დაბალი ნიშანი იწვევს თუ არა მოტივაციის დაქვეითებას?

■ დიახ ■ არა, რადგან დაბალ ნიშანს ვიმსახურებ ■ არანაირად




№ 8. როგორი უნდა იყოს მასწავლებელი გაკვეთილზე?

■ სამართლიანი ■ აქტიური ■ სიახლეებისათვის მუდმივად მზად ■ უნდა გვისმენდეს




№ 9. რა არის თქვენთვის მთავარი მოტივატორი ისტორიის სწავლების პროცესში?

■ სასწავლო მასალის შინაარსი ■ კლასში განხორციელებული აქტივობები
■ კლასგარეშე აქტივობები ■ წახალისება-შეცემა



რას შეცვლიდით ისტორიის სწავლების პროცესში?

- დავამატებდი პრაქტიკულ დავალებებს
- დავამატებდი ისტორიული ფილმების ჩვენებას
- დავამატებდი გასვლით ღონისძიებებს მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში
- განვახორციელებდი ხშირად სასწავლო პროექტებს



ღია ანკეტირებისათვის კითხვები მომზადდა VII კლასის პედაგოგებისათვის და მოსწავლეთა მშობლებისათვის. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ის პედაგოგები, რომლებიც გაკვეთილის ჩასატარებლად შედიან ზემოთ აღნიშნულ კლასში და აქვთ წარმოდგენა ამ მოსწავლეების მდგომარეობაზე სწავლასთან მიმართებაში. კვლევის შედეგების სრულყოფის მიზნით ჩავთვალეთ, რომ ამ პედაგოგების გამოცდილების გაზიარება იქნებოდა ხელშემწყობი პირობა კვლევის პროცესში. ინტერვიუმ სკოლის პედაგოგებთან საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა მათი დამოკიდებულება საკუთარი სასწავლო პრაქტიკის მიმართ, მოსწავლეებთან კი, თუ როგორ აღიქვამენ საკუთარ შესაძლებლობებსა და უნარებს.

მშობელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტივე მოსწავლის მშობელმა. მოსწავლეებს კითხვარები გავატანეთ სახლში. მათ ჰქონდათ 3 დღე კითხვარების შესავსებად და დასაბრუნებლად. მიგვაჩნია, რომ მიღებული კითხვარები ზოგად წარმოდგენას ქმნის მშობლების დამოკიდებულებისა და მოსაზრებების გასაგებად მათი შვილების უნარებთან დაკავშირებით. ყველა კითხვარი დაგვიბრუნდა შევსებული სახით.

3.5 მონაცემთა ანალიზი

განხორციელებული კვლევის მეთოდების საშუალებით ნათელი გახდა შემდეგი: მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ისეთი ტიპის გაკვეთილები, სადაც გამოიყენებოდა სხვადასხვა სახალისო აქტივობები, ასევე თუ ტექსტები არ იყო დიდი ზომის და ბევრი თარიღებით გაჯერებული. განსაკუთრებით დიდ მოწონებასა და ინტერესს იწვევს ჯგუფური მუშაობა. როგორც ჩანს, არ უყვართ ინდივიდუალური დავალებები. დაკვირვების შედეგად დავადგინე ასევე, რომ შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები ცდილობდნენ ჯგუფური მუშაობის დროს ყოფილიყვნენ ძლიერი მოსწავლეების გარემოცვაში. დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურობდნენ მაშინ, როდესაც გაკვეთილი განსხვავებული იყო, დატვირთული მრავალფეროვანი აქტივობებით.

დამხმარე კითხვარის საშუალებით დადგინდა, მასწავლებელთა შეფასებები დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა არსებული ცოდნისა და მდგომარეობის შესახებ - კერძოდ, შემეცნებითი და ემოციური განვითარების დონე და საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი. მასწავლებლებმა მოსწავლეების შეფასებისას ხაზი გაუსვეს აღქმა-გაგების, მახსოვრობის ხანგრძლივობის, ყურადღებისა და კონცენტრაციის და ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დაბალ დონეს. ფოკუსირებული და შერჩევითი დაკვირვების დროს მონაცემთა ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ცოდნისა და გამოყენების დაბალი დონე. მასწავლებელთა ხელშეწყობით საჭიროა მოხდეს ამ უნარ-ჩვევების შეძენა და შემდგომში სასწავლო პროცესში გამოყენება. ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია ის, რომ არ ხდება ფოკუსირება პრობლემაზე, არასწორად ორიენტირებული საქმიანობები კი, ვერ ახდენს პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა შედეგებზე.

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მშობლები სათანადოდ არ თანამშრომლობენ მასწავლებლებთან სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასაძლევად;
- აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები არ არიან საგაკვეთილო პროცესში ჩართულნი, არ რეგირებენ ყოველდღიურად დაწერილ დაბალ ნიშანზე, ეშინიათ

მხოლოდ შემაჯამებელი წერების და ამ დროს ცდილობენ გადაინერონ პასუხები, რათა აჩვენონ დამაკმაყოფილებელი შედეგები;

- აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვთ მათი როლი სასწავლო პროცესში, ამ პროცესის დროს აუცილებელი უნარ-ჩვევების ფლობისა და გამოყენების, მათი პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელების საჭიროება და აქტუალობა;
- აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს უჭირთ ნასწავლი ცოდნის წარმოჩენა, პრეზენტირება და პრაქტიკაში ტრანსფერი, წაკითხული ტექსტიდან ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის მოძიება.

3.6 მეორადი მონაცემების ანალიზი

პრობლემის შესწავლის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ მეთოდად გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზი, კერძოდ: მოსწავლეთა სასწავლო უნარების დასადგენად შევავსოეთ სასწავლო პროექტების პრეზენტაციების დროს შესრულებული აქტივობების ხელნაწერები, აგრეთვე მოსწავლეთა სამინაო დავალებების რეგულები, რომლებმაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარების დონე.

3.7 ინტერვენციების დაგეგმვა

ისტორიის სწავლებას არა აქვს მხოლოდ საგნის სწავლების ფუნქცია, მას დიდი როლი აკისრია მოსწავლის სამშობლოს სიყვარულის გაღვივებაში, მან უნდა აღზარდოს ღირსეული და პატრიოტი მოქალაქე. იმისათვის, რომ ყველა მოსწავლე ყოფილიყო სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართული და მოტივირებული, საჭირო იყო სახალისო აქტივობების მოფიქრება და განხორციელება. აქტივობები უნდა ყოფილიყო მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, ისე რომ ყველას ინდივიდუალური შესაძლებლობები ყოფილიყო მაქსიმალურად გათვალისწინებული. ამიტომ კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე და დავგეგმე ისტორიის სწავლების პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის შემდეგი ინტერვენციები:

- ახალი მასალის ახსნისას Pover point-ის პრეზენტაციების გამოყენება;
- გაკვეთილზე მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება;

- იქმნებოდა თანაბარი სიძლიერის ჯგუფები, რომლებშიც წარმატებული მოსწავლეები ეხმარებოდნენ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს;
- ღიფერენციურ ჯგუფებში მუშაობის დროს მოსწავლეები მუშაობდნენ იმ საკითხზე, რომელიც მათი ცოდნის შესაბამისი იყო;
- მოსწავლეთა ნახალისების მიზნით განხორციელდა აქტივობა „მოსწავლებელი“, წარმატებული მოსწავლეები დაინიშნენ მოსწავლეებად და ეხმარებოდნენ სუსტ მოსწავლეებს, რომლებსაც ეძლეოდათ შესაძლებლობა გარკვეული შედეგების მიღწევის შემდეგ გამხდარიყვნენ მოსწავლეები;
- საგაკვეთილო პროცესში გამოიყენებოდა აქტივობები - დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, „ქრონოლოგიური ჯაჭვი“;
- განხორციელდა მოსწავლეთა ჩართვა ისტორიის საგნობრივ წრეში. წრის მეცადინეობა ხდებოდა თვეში ორჯერ, სადაც განვიხილავდით მნიშვნელოვან და საკვანძო საკითხებს მე-7 კლასის სახელმძღვანელოდან;
- დაიგეგმა სასწავლო პროექტების ხშირი განხორციელება;
- დაიგეგმა შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება.

ვფიქრობ, მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესის გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

თავი IV

4.1 ინტერვენციების განხორციელება

ინტერვენციების განხორციელებამ დადებითი შედეგი გამოიღო მთელი კლასისთვის. დაკვირვებამ აჩვენა, რომ როგორც წარჩინებული, ისე აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები ინტერესით მუშაობდნენ ჯგუფურად, აღევნებდნენ თვალს ჯგუფური და წყვილებში მუშაობის განრიგს და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის პროცესში. მათში დადებითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ ჯგუფში მუშაობა ითხოვს თანამშრომლობას. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ როგორც მაღალი, ისე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები. ისინი პატივისცემით ეკიდებოდნენ ერთმანეთს, თანდათან უვითარდებოდათ მსჯელობისა და არგუმენტირების უნარი. ისინი ჯგუფური მუშაობის დროს ავლენდნენ კოლაბორაციის უნარებს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს და რაც მთავარია, ამას ხალისით აკეთებდნენ.

კლასი თავად აფასებდა შესაბამისი სქემით პრეზენტატორს. ამ საქმეს ისინი ხალისით ეკიდებოდნენ, ყურადღებით უსმენდნენ პრეზენტაციას, რადგან იცოდნენ, რომ სწორად მათ მოუწევდათ თანაკლასელის შეფასება.

დიფერენცირებულ ჯუფებში მოსწავლეები გადანაწილებულები იყვნენ მათი ინტერესების მიხედვით. ცხადია, რომ რაც უფრო მეტადაა დაინტერესებული მოსწავლე საკითხით, მით უფრო მეტად არის ის ჩართული სასწავლო პროცესში, მით უფრო მაღალია მისი მოტივაცია, მიაღწიოს სასწავლო მიზანს. დიფერენცირებული სწავლება ემყარება მასწავლებლის რწმენას, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა. დიფერენცირებულ გაკვეთილზე სხვადასხვა სახის სტრატეგია გამოვიყენე, მათ შორისაა: დამოუკიდებელი კითხვა, ასევე მცირე ჯგუფური და საერთო საკლასო დისკუსიები. დიფერენცირებული სწავლება თავიდან რთული შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ პრაქტიკაში ის სულ უფრო და უფრო ბუნებრივი ხდება. დიფერენცირებული სწავლება სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. დავრწმუნდი, რომ მასწავლებელი, რომელიც იყენებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ღრმად არის დარწმუნებული, რომ ყველა მოსწავლეს აქვს განსაკუთრებული უნარები, თავისი ძლიერი მხარე, შესაძლებლობები, ასევე სირთულეები და ყოველივე ამის გათვალისწინებით გეგმავს სწავლებას. ამგვარ დამოუკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს საკუთარი თავის რწმენა და მიაღწიოს წარმატებას სწავლაში.

ჯგუფებში წარმატებულ მოსწავლეებს მიმაგრებული ჰყავდათ სუსტი მოსწავლეები ან ისეთები, რომლებმაც გარკვეული მიზეზების გამო იმ დღეს მასალის სახლში დამუშავება ვერ მოასწრეს. ყველას ჰქონდა შესაძლებლობა გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ გამხდარიყო მასწავლებელი. ამან მართლაც იმოქმედა დადებითად დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებზე და გაუჩნდათ სურვილი, რომ თვითონ გამხდარიყვნენ მასწავლებლები. გარკვეული დროის შემდეგ რამდენიმე სუსტი მოსწავლე გახდა მასწავლებელი. ამ აქტივობამ დიდი გავლენა მოახდინა და გააუმჯობესა დაბალი აკადემიური მოსწავლის შედეგი.

დისკუსიის ხერხების შესწავლას ისტორიაში ვიწყებლ მე-6 კლასის მე-2 სემესტრიდან, სადაც პროგრამა და თემატიკა იძლევა ამის საშუალებას. მე-7 კლასში აქტიურად დავინწყეთ დისკუსიის გამოყენება, რომელმაც ტრადიციული თხრობის მეთოდთან შედარებით დიდი მოწონება დაიმსახურა. მოსწავლეები თავისუფლად მსჯელობდნენ და თამამად ახერხებდნენ საკუთარი მოსაზრების თამამად გადმოცემას.

მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ადვილად და ხალისით ართმევდა თავს აქტივობას - „ქრონოლოგიური ჯაჭვი“, რომლის დროსაც ერთი მოსწავლე იწყებდა მოვლენებზე მსჯელობას და მოულოდნელად აგრძელებდა მეორე, ისე რომ არ განწყდეს ქრონოლოგიური ჯაჭვი. ეს ხელს უწყობდა თემის კარგად შესწავლას და ყურადღების კონცენტრირებას. იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო სწავლის ხარისხი, ყველა მოსწავლე მუდმივად აწარმოებდა თარიღების რვეულს, სადაც იწერდნენ ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის თარიღს, რაც ეხმარებოდა მათ მასალის გამეორებასა და შეჯამებაში. თითქმის ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეები ერთმანეთს უსვავდნენ კითხვებს, რითაც კიდევ ერთხელ ვახდენდი შესწავლილი მასალის შეფასებას.

საგნობრივ წრეებში მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარა მასალის ათვისებასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაში. მოსწავლეთათვის მარტივად გასაგები სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი იქნა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, VII კლასში დაიგეგმა სამოდულო გაკვეთილის ჩატარება ისტორიაში.

სასწავლო პროექტებზე მუშაობისას მოსწავლეებს დაევაღათ შეექმნათ კედლის გაზეთები - „ჯვაროსნული ომები“ „მოვიარეთ საქართველო“. კედლის გაზეთზე მუშაობამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, დაინტერესებას და ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარებას, რაც ეფექტური ინსტრუმენტი გახდა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით. გაიზარდა მათი ინტერესი, კონკრეტულად ისტორიის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგნის სწავლების კუთხით.


მოსწავლეებთან ერთად შევექმნით და თვალსაჩინოების სახით საკლასო ოთახში გამოვფინე შეფასების სქემები, რამაც საშუალება მომცა, რომ მოსწავლეებს შეეძნოდათ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას ითხოვს მათგან მასწავლებელი.

4.2 ინტერვენციების შედეგების ანალიზი

კვლევის დასრულების შემდეგ მაინტერესებდა მოსწავლეთა მოსაზრებები. ამ მიზნით მოვამზადე 5 დახურული ტიპის კითხვა:


**№ 1. რამდენად საინტერესო გახდა
თქვენთვის ისტორიის გაკვეთილები მე-2
სემესტრიდან?**

■ ძალიან საინტერესო ■ საინტერესო ■ არც ისე




**№ 2. ზრდის თუ არა შემოთავაზებული
აქტივობები თქვენს მოტივაციას?**


■ დიახ ■ ნაკლებად ■ არა



**№ 3. ვითვალისწინებდი თუ არა
აქტივობების დაგეგმვისას თითოეული
თქვენგანის ინტერესებს?**




**№ 4. შემოთავაზებული აქტივობებიდან
რომელი მოგეწონათ განსაკუთრებით?**



№ 5. როგორ შეათვასებთ მიმდინარე სემესტრში განხორციელებულ აქტივობებს?

■ დადებითად ■ უარყოფითად ■ მიჭირს პასუხის გაცემა



როგორც გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, მოსწავლეების უმრავლესობას მოსწონს განხორციელებული აქტივობები, სასწავლო პროცესი მათთვის უფრო საინტერესო გახდა, გაიზარდა მათი ჩართულობა და შესაბამისად გაიზარდა მათი აკადემიური მოსწრება.

დაკვირვებითა და მოსწავლეების გამოკითხვით დადგინდა, რომ ჩატარებული აქტივობებით, ურთიერთდახმარებით ჯგუფური მუშაობის დროს, ტესტირებით, თვითშეფასებით, მოტივაცია ამაღლდა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მთელ კლასზე. დაკვირვებამ მიჩვენა, რომ ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში ამ აქტივობების გამოყენება ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებასა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა, შესაბამისად სწავლის დონეც გაუმჯობესდა. ეს უკანასკნელი გაიზომა შემაჯამებელი სამუშაოების საშუალო არითმეტიკულით.

ისტორიაში მე-2 სემესტრში ჩატარდა სამი შემაჯამებელი სამუშაო.

შემაჯამებელი სამუშაო	I	II	III
-------------------------	---	----	-----

საშუალო არითმეტიკული	8.6 ქ.	8.6 ქ.	9.1 ქ.
-------------------------	--------	--------	--------

თვალსაჩინოა, რომ პირველი და მეორე შემაჯამებელი დავალების შედეგთან შედარებით მესამე შემაჯამებელ სამუშაოზე უფრო მაღალი ქულები და შესაბამისად, შედეგი დაფიქსირდა.

თავი V

5.1 კვლევის მიგნებები

ინტერვენციების განხორციელებისა და მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

1. მოსწავლეები სწავლის პირველ წლებში არ არიან დატვირთულნი, მასალა ადვილია ასათვისებლად, ამავე დროს სასწავლო მასალა მცირეა, მოსწონთ სწავლის პროცესი, ცდილობენ თავი გამოიჩინონ კარგი სწავლით მასწავლებლებთან, ახლობლებთან, თანაკლასელებთან. ხოლო წლებთან ერთად როცა მასალა რთულდება და იზრდება სასწავლო მასალის მოცულობა, რთულდება სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს დაეწიოს ეროვნულ სასწავლო გეგმას.

2. კლასში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრად განსხვავებულ დონეს განაპირობებს სუსტ მოსწავლეებში სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების დაბალი დონე. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს არ აქვთ გაცნობიერებული მათი როლი სასწავლო პროცესში, არ ფლობენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელების დროს აუცილებელ უნარ-ჩვევებს და არ იჩენენ ინტერესს ახალი მასალის სწავლისას.

3. მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მოსწავლეთა გარდატეხის ასაკი, როცა მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ და ნაკლებად აინტერესებთ სწავლა.

5.2 რეკომენდაციები

კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სასურველია შეიცვალოს სახელმძღვანელოები, სადაც მოძველებული ტექსტებია წარმოდგენილი, რაც მოსწავლეებს უკარგავს სწავლისადმი ინტერესს. მიმაჩნია, რომ სახელმძღვანელო მოტივაციის ამაღლების უპირველესი გარანტი უნდა იყოს. მასში საინტერესოდ და მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად უნდა იყოს შერჩეული ესა თუ ის თემა, სავარჯიშოები უნდა იყოს უფრო მეტად ისე ორგანიზებული, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ნასწავლი მასალის განმტკიცება. სახელმძღვანელოში უნდა იყოს უფრო მეტი სასაუბრო აქტივობები, რათა მოსწავლეებს გაუადვილდეთ ნასწავლის ტრანსფერის უნარი, შეძლონ საჭიროებისამებრ გამოიყენონ ნასწავლი. რაც შეეხება მე-7 კლასის სახელმძღვანელოს, აქ მასალა ძალიან დიდია მოცულობით და დამახსოვრების თვალსაზრისით პრობლემა ნამდვილად იქმნება. სასურველია მეტი ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარება. მართალია, აკლია ჩვენს საკლასო ოთახებს კეთილმოწყობა ისტ-ის გამოყენებით გაკვეთილების ჩასატარებლად, თუმცა გვაქვს კეთილმოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია და ადვილი მოსახერხებელია იქ გაკვეთილების ჩატარება. ასევე საჭიროა სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით და აქტივობებით დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მეტ აქტიურობას, ინიციატივას და ქმედითობას მოითხოვს მოსწავლისგან. კვლევის შედეგებმა ნათლად დამანახა, რომ მოსწავლეები მაშინ აქტიურობენ, როდესაც თავად წარმართავენ სასწავლო პროცესს, ამიტომ, სამომავლოდ, შევეცდები ჩემი როლი გაკვეთილზე იყოს მხოლოდ ფასილიტატორის როლი და მოსწავლეებს მივცე ინიციატივისა და არჩევანის უფლება.

5.3 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რამდენიმე მოსწავლემ გეპირ ინტერვიუში ღია კითხვებზე საკუთარი აზრების დაფიქსირებას თავი აარიდა, რადგან არ იცოდა რა ეპასუხა ან მოერიდა საკუთარი აზრის დაფიქსირება. შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ის გარემოება, რომ მოსწავლეებს არ აქვთ განვითარებული საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და კრიტიკული აზროვნების უნარი. ეს საკითხი შეიძლება ცალკე კვლევის საგნად მივიჩნიოთ და ჩავატაროთ მოსწავლეებში კვლევა ამ მიმართულებით.

კვლევის პროცესში, გარდა გამოყენებული მეთოდებისა, სასურველი იყო გამოგვეყენებინა მშობელთა და პედაგოგთა ანონიმური ანკეტირება, რადგან ანონიმურობის დაცვის შემთხვევაში რესპოდენტი უფრო გულწრფელია და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები უფრო ზუსტი და სანდოა.

თავი VI

6.1 დასკვნა

კვლევაში გამოყენებული მეთოდიკა მიმართული იყო აკადემიური მოსწრების ამაღლებისკენ და ითვალისწინებდა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. ამ მხრივ კვლევამ დადებითი შედეგი აჩვენა. ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ VII კლასში მოსწავლეთა მკვეთრად განსხვავებულ აკადემიურ დონეს განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- პედაგოგებსა და მშობლებს შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა;
- სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის დაბალი სიხშირე;
- სუსტ მოსწავლეებში სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების დაბალი დონე.
- VII კლასის მოსწავლეთა შემადგენლობის ცვლილება (ერთი მოსწავლე გადმოვიდა საჯარო სკოლიდან, რომელიც ფლობდა განსხვავებულ სასწავლო უნარებს).

შედეგებზე დაყრდნობით შევიშუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც დაგვეხმარება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდაში. წარმოქმნილი პრობლემის (კლასში მკვეთრად განსხვავებული აკადემიური დონე) აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო. აღნიშნულ კლასში ჩატარდა სამოძებლო გაკვეთილი ისტორიაში, სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სხვადასხვა აქტივობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ისტორიის გაკვეთილი ორიენტირებული იყო ერთ-ერთი გამჭოლი კომპეტენციის - სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარებაზე. აღნიშნული გაკვეთილი შიდა შეფასების ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა დადებითად.

განხორციელებული ქმედებებით ისტორიის გაკვეთილზე ცოდნის დონე ამაღლდა. კვლევის შედეგად მიღებულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ გაკვეთილზე

თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და მოტივირებას განსაზღვრავს მრავალფეროვანი და განსხვავებული აქტივობების გამოყენება და მუდმივი თანამშრომლობა მშობლებთან.

კვლევის შედეგების და თვითონ კვლევის გაზიარება კოლეგებთან დაეხმარება მათ, თვითონ წარმართონ მსგავსი კვლევები საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, ასევე შეიმუშაონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნისათვის საჭირო სტრატეგიები.

6.2 ცხრილი პროექტის ვადების შესახებ

2018 წ.

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X				
მონაცემების შეგროვება		X	X		

მონაცემების ანალიზი		X	X		
კითხვარის შედგენა		X			
კითხვარის შევსება, დამუშავება		X	X		
გამოკითხვა, თვითშეფასება		X		X	
მოღებული შედეგების ანალიზი			X	X	
ინტერვენციების განხორციელება	X	X	X	X	X
ინტერვენციების ანალიზი				X	X
პრეზენტაცია სასკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა					X

ბიბლიოგრაფია

1. „განვითარებისა და სწავლის თეორიები“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
2. „სწავლება და შეფასება“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011.
3. მ. ინასარიძე, ს. ლობუანიძე, მ. რატიანი, ი. სამსონია „მასწავლებლის საქმიანობის დანერგვის, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ - ნაწილი II, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
4. მასწავლებლის სატრენინგო მასალა - „პრაქტიკის კვლევა“

5. თინათინ ზურაბიშვილი, თბილისი 2006 - „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“ .

6. ლია წულაძე, თბილისი 2008 - „რადენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ .

7.სტატია „დიფერენცირებული სწავლება ისტორიის გაკვეთილზე“.

<http://mastsavlebeli.ge/?p=4056>

დანართი №1

კითხვარი მოსწავლეებისთვის

1.იმისათვის, რომ მაღალი მოტივაცია გქონდეთ. რა ტიპის გაკვეთილი უნდა ჩაგიტარდეთ?

- გაკვეთილები ხშირი დისკუსიითა და საინტერესო აქტივობებით;
- გაკვეთილები სახალისო ინტერნეტრესურსებით;
- ტრადიციული გაკვეთილები.

2. რა იწვევს თქვენი მოტივაციის დაქვეითებას?

- დიდი მოცულობის ტექსტი;
- ბევრი ბრძოლები და მათი თარიღები;
- მე არ მაშინებს სირთულე.

3. რა ტიპის მუშაობას ანიჭებთ უპირატესობას?

- დამოუკიდებელს;
- მუშაობას წყვილებში;
- ჯგუფურ მუშაობას;
- არანაირს.

4.რა ტიპის ტექსტები გიყვართ?

- ტექსტები საქართველოს ისტორიის შესახებ;
- ტექსტები, რომლების იწვევენ საინტერესო დისკუსიას;
- ისტორიული რომანები;
- მცირე ზომის ტექსტები.

5. რა ტიპის წერილობითი დავალება მოგწონთ?

- თავისუფალი თემის წერა;
- ტესტი დახურული კითხვებით;
- ტესტი ღია კითხვებით;
- ცხრილების შევსება.

6. როგორია შენი როლი გაკვეთილზე?

- პრეზენტატორის;
- მსმენელის;
- ჯგუფის ლიდერის.

7. როგორ ფიქრობთ, დაბალი ნიშანი იწვევს თუ არა მოტივაციის დაქვეითებას?

- დიახ;
- არა, რადგან დაბალ ნიშანს ვიმსახურებ;
- არანაირად.

8. როგორი უნდა იყოს მასწავლებელი გაკვეთილზე?

- სამართლიანი;
- აქტიური;
- სიახლეებისთვის მუდმივად მზად;
- უნდა გვისმენდეს.

9. რა არის თქვენთვის მთავარი მოტივატორი ისტორიის სწავლების პროცესში?

- სასწავლო მასალის შინაარსი;
- კლასში განხორციელებული აქტივობები;
- კლასგარეშე აქტივობები;
- წახალისება-შექება.

10. რას შეცვლიდით ისტორიის სწავლების პროცესში?

- დავამატებდი პრაქტიკულ დავალებებს;
- დავამატებდი ისტორიული ფილმების ჩვენებას;
- დავამატებდი გასვლით ღონისძიებებს მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში;

- განვახორციელებდი ხშირად სასწავლო პროექტებს.

დანართი № 2.

მეორე კითხვარი მოსწავლეებისთვის

1.რამდენად საინტერესო გახდა თქვენთვის ისტორიის გაკვეთილები მე-2 სემესტრიდან?

- ძალიან საინტერესო;
- საინტერესო;
- არც ისე.

2.ზრდის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები თქვენს მოტივაციას?

- ღიახ; ნაკლებად, არა.

3. ვითვალისწინებდი თუ არა აქტივობების დაგეგმვისას თითოეული თქვენგანის ინტერესებს?

- სავსებით;
- ნაწილობრივ;
- არა.

4. შემოთავაზებული აქტივობებიდან რომელი მოგეწონათ განსაკუთრებით?

- სასწავლო პროექტები;
- ინტერნეტრესურსების გამოყენება;
- სახალისო აქტივობები.

5. როგორ შეაფასებთ მიმდინარე სემესტრში განხორციელებულ აქტივობებს.

- დადებითად;
- უარყოფითად;
- მიჭირს პასუხის გაცემა.

დანართი № 3

კითხვარი მასწავლებლებისთვის

მასწავლებლის სახელი და გვარი

საგანი, რომელსაც ასწავლით

1.რა პრობლემები იკვეთება საგაკვეთილო პროცესში მე-7 კლასის მოსწავლეებში?

2.განსხვავდებიან თუ არა მოსწავლეები ერთმანეთისგან აკადემიური დონის განვითარების მხრივ?

3. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები იჩენენ თუ არა ნებისყოფასა და
მოტივაციას საგაკვეთილო პროცესში?

4. რა ფაქტორები განაპირობებს მოსწავლეების ნაკლებ ჩართულობას საგაკვეთილო
პროცესში?

4. რა მეთოდები მოქმედებს მათზე უფრო ეფექტურად? (ნახალისება, შექება,
დამატებითი აქტივობების გამოყენება, შენიშვნა და სხვ.)

5. არის თუ არა თანამშრომლობა თქვენ გაკვეთილზე მასწავლებელსა და
მოსწავლეებს შორის?

დანართი № 4

კითხვარი მშობლებისთვის

მშობლის სახელი, გვარი

მოსწავლის სახელი, გვარი

1. რამდენ დროს უთმობს სახლში მეცადინეობას?

2. არის თუ არა მოტივირებული სასკოლო დავალებების შესრულებისას?

3. რა დამოკიდებულება აქვს სკოლისა და სასკოლო საგნების მიმართ?

4. რა სახის დავალებები უფრო მოსწონს?

5. რით არის დაკავებული თავისუფალ დროს?

6. რას მიიჩნევთ თქვენი შვილის სუსტ და ძლიერ მხარედ?

7. რა მეთოდი მოქმედებს მასზე უფრო ეფექტურად? (შექება, წახალისება, დამატებითი აქტივობების გამოყენება, შენიშვნა და სხვ.)

8. ფიქრობთ თუ არა, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს?

დანართი № 5

სასწავლო პროექტის გეგმა

პროექტის სათაური:	„ჯვაროსნული ლაშქრობები“
პროექტის განხორც.ადგილი:	შიდა ქართლი, ქ. ქარელი.
სკოლა:	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია.
მისამართი:	ქარელი, ვარძელაშვილის 153.
პროექტზე პასუხისმგებელი პირი:	ნინო ონიაშვილი
საგანი:	ისტორია
მოსწავლეთა რაოდენობა:	მე-7 კლასის 15 მოსწავლე
პროექტის აღწერა/აქტივობები:	1.მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის იდეის გაცნობა .2.მოსწავლეების მიერ ამ თემასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო, აქტუალური კითხვებისა და პრობლემების ჩამოყალიბება. 3.ორგანიზაციული საკითხები: ჯგუფების შექმნა, ფუნქციის განაწილება, კონკრეტული დავალებების მიცემა ჯგუფებისათვის მათი ინტერესების შესაბამისად და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პირველ ჯგუფს დაევა I და II ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ ისტორიული მასალების მოძიება, მეორე ჯგუფს - III და IV ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მესამე ჯგუფს V და VI ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ მონაცემების შეგროვება, მეოთხე ჯგუფს კი ბოლო VII და VIII ლაშქრობების შესახებ მასალის შეკრება. 4.შესრულებული სამუშაოს შეჯამება, კედლის გაზეთების შექმნა და პრეზენტაცია. განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალის განთავსება გიმნაზიის ვებ-გვერდზე.
პროექტის აქტუალურობა:	მოსწავლეები უკეთ გაეცნობიან და ღრმად

	შეისწავლიან ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენას, როგორიცაა ჯვაროსნული ლაშქრობები. გაიაზრებენ XI-XIII საუკუნეების ევროპელთა ხანგრძლივი სამხედრო-კოლონიზაციური ექსპედიციების დაწყების მიზეზებსა და შედეგებს, გაეცნობიან საქართველოს როლსა და მნიშვნელობას ამ პერიოდის საერთაშორისო მოვლენებში. მოაწყობენ დისკუსიას კლასში აღნიშნულ საკითხებზე. თემის კვლევა და ანალიზი ხელს შეუწყობს მოსწავლეებს უკეთ შეისწავლონ ამ რთული და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის ეტაპები, გაეცნონ თითოეული ლაშქრობის მეთაურებსა და მონაწილეებს. დაეხმარება მათ მსოფლიო ცივილიზაციების განვითარების ისტორიაში სწორად განსაზღვრონ და შეაფასონ საკუთარი ერის ადგილი და მნიშვნელობა.
პროექტის განხორციელ. დრო:	დაწყება: 21.03.2018 დასრულება: 16.04.2018
პროექტის მიზანი:	ვფიქრობ, პროექტის მიზნები არის ნათელი, კონკრეტული და მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიღწევადი, ის შეესაბამება ესგ-ით დასახულ მიზნებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და პატრიოტული ღირებულებების მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ამასთან, პროექტის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ისტორიული წყაროების ანალიზის, კომუნიკაციის, XXI საუკუნის სხვა უნარების განვითარებას, პროექტის მიზნები უშუალო კავშირშია პროექტის შედეგებთან. აღსანიშნავია, რომ პროექტით დასახული მიზნები ჩატარებული აქტივობების საფუძველზე პროექტის ბოლოს ჩვენს მიერ მიღწეულ იქნა. ასევე პროექტზე მუშაობა ხელს შეუწყობს გაკვეთილზე მიღებული და დაგროვილი ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას, ისტ-ის მეშვეობით მასალის მოძიებისა და დამუშავების უნარის განვითარებას, თანამშრომლობითი, საკუთარი აზრის ნათლად ჩამოყალიბების, გამოთქმისა და გადაწყვეტილების უნარის განვითარებას, მოსწავლეთა შემოქმედებითი (სხვადასხვა სახის წერიტი ნამუშევრები) და საპრეზენტაციო უნარების განვითარებას.

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან და მიზნებთან შესაბამისობა	ისტ. VII.1. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ისტორიულ მოვლენებს გადმოსცემს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, აკავშირებს ისტორიულ ფაქტებს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის სისტემასთან; • ინდივიდუალურად ან კლასში ჯგუფური მუშაობისას დროის ხაზზე (სკალაზე) აღნიშნავს ისტორიულ თარიღებს ან ისტორიულ პერიოდებს; • ასახელებს საუკუნესა და ათასწლეულს, რომელსაც კონკრეტული თარიღი მიეკუთვნება; • აღგენს ცხრილს, რომელშიც სახელმძღვანელოში არსებულ თემებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან თარიღებს ალაგებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მიაკუთვნებს მათ შესაბამის ისტორიულ ეპოქას. ისტ. VII.3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებული სახელმწიფოს მმართველობის ფორმები. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მაგალითებზე დაყრდნობით ახასიათებს სახელმწიფოს მმართველობის ფორმებს; • აღარებს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმას ერთ ეპოქაში და მსჯელობს მათ დადებითა და უარყოფით მხარეებზე. ისტ. VII 4. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ინდივიდუალურად ან კლასში ჯგუფური მუშაობისას დროის სკალაზე აღნიშნავს ისტორიისთვის, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ ან ხუთ პოლიტიკურ მოღვაწეს და კლასის წინაშე საუბრობს მისი არჩევანის მიზეზებზე; • მოიპოვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელოსა და დამატებითი ბეჭდური მასალის/ელექტრონული რესურსების) და დამატებითი ბეჭდური მასალის/ელექტრონული რესურსების დახმარებით ახსნის მოღვაწის როლს ქვეყნის ისტორიაში.
---	---

	მასალის საშუალებით) ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ და წერს თემას.
--	---

პროექტის შედეგები:	პროექტის შედეგად ამაღლდა პროექტის მონაწილე მოსწავლეთა ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ. პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას და მათ პიროვნულ-მოქალაქეობრივ სრულყოფას. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა პრეზენტაციებზე მუშაობა, ამ აქტივობების საშუალებით პროექტის მონაწილეებმა შექმნეს საკმაოდ ღირებული პროდუქტები, როგორცაა კედლის გაზეთები, რომლებიც გამოიფინა საკლასო ოთახში თვალსაჩინო ადგილზე. სულ შექმნა ოთხი კედლის გაზეთი, რომლებიც საინტერესო ინფორმაციასთან ერთად მოიცავს შესაბამის ფოტო-მასალას.
გამოყენებული მეთოდები:	ინდივიდუალური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, ჩანაწერების გაკეთება, ტექსტიდან და ფოტომასალიდან მიღებული ინფორმაციის შედარება-დამუშავება, წერილობით და ვიზუალურ წყაროებზე მუშაობა, მინი-ლექცია, შეფასებებისა და დასკვნების წერილობით ჩამოყალიბება.
პროექტის მონიტორინგი და შეფასება:	პროექტის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ თემატიკის გაგების ხარისხის მონიტორინგისათვის მივმართე გამოკითხვის მეთოდს, განვსაზღვრე მათი საბაზისო ცოდნა. მუშაობის პროცესში ვპასუხობდი მათ შეკითხვებს, რის საშუალებითაც ვაფასებდი მათ პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში ვაძლევდი მითითებებს. მოსწავლეებმა შეძლეს ინფორმაციის მოძიება და მისი ორგანიზება, წარმატებით გაართვეს თავი აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციას. შეაფასეს ერთმანეთი წინასწარ შემუშავებული ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასების სქემების მიხედვით.
რესურსები	მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, ინტერნეტიდან მოძიებული ფოტო მასალა, კომპიუტერი.

დანართი № 6

სასწავლო პროექტის გეგმა

პროექტის სათაური:	„მოვიარეთ საქართველო“
პროექტის განხორც.ადგილი:	შიდა ქართლი, ქ. ქარელი.
სკოლა:	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახ. გიმნაზია.
მისამართი:	ქარელი, ვარძელაშვილის 153.
პროექტზე პასუხისმგებელი პირი:	ნინო ონიაშვილი
საგანი:	ისტორია
მოსწავლეთა რაოდენობა:	მე-7 კლასის 15 მოსწავლე
პროექტის აღწერა/აქტივობები:	1.მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის იდეის გაცნობა .2.მოსწავლეების მიერ ამ თემასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო, აქტუალური კითხვებისა და პრობლემების ჩამოყალიბება. 3.ორგანიზაციული საკითხები: ჯგუფების შექმნა, ფუნქციის განაწილება, კონკრეტული დავალებების მიცემა ჯგუფებისათვის მათი ინტერესების შესაბამისად და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პირველ ჯგუფს დაევალა ბაგრატის ტაძრის შესახებ ისტორიული მასალების მოძიება, მეორე ჯგუფს - მონამეთა ტაძრის წინაშე. განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალის განთქმვა ინფორმაციის შეგროვება, მესამე გელათის შესახებ მონაცემების შეგროვება, მეოთხე ჯგუფს სათაფლიას მღვიმის შესახებ მასალის შეკრება. 4. ექსკურსია ქუთაისში, მოძიებული მასალის პრეზენტაცია მშობლების და თანაკლასელების ავსება გიმნაზიის ვებ-გვერდზე.

პროექტის აქტუალობა:	საქართველოში ქალაქები უძველესი დროიდან არიან ცნობილი. ამ პროექტის განხორციელებისას მოსწავლეები გაეცნობიან მთელ კავკასიაში ერთ-ერთ უძველეს ქალაქს - ქუთაისს, რომელმაც ძველთაგანვე დიდი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში, ჩვენს დრომდე მოაღწია და დღესაც მმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პროექტი მრავალმხრივ აქტუალურია. უკეთესად შეისწავლიან საქართველოს ისტორიას, ხელოვნებას, კულტურას, ისწავლიან თანხის სწორად გადანაწილებას, უკეთესად გაიცნობენ ერთმანეთს და დამეგობრდებიან. შეიტყობენ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს ძველი დედაქალაქის შესახებ და გაეცნობიან ქუთაისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, რაც დაეხმარება მათ მსოფლიო ცივილიზაციების განვითარების ისტორიაში სწორად განსაზღვრონ და შეაფასონ საკუთარი ერის ადგილი და მნიშვნელობა, რაც ასევე ხელს შეუწყობს მათ პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბებას.
პროექტის განხორციელ. დრო:	დანება: 19.05.2018 დასრულება:3.06.2018
პროექტის მიზანი:	ვფიქრობ,პროექტის მიზნები არის ნათელი,კონკრეტული და მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარე მიღწევადი,ის შეესაბამება ესგ-ით დასახულ მიზნებს, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და პატრიოტული ღირებულებების მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.ამასთან, პროექტის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ისტორიული წყაროების ანალიზის, კომუნიკაციის , XXI საუკუნის სხვა უნარების განვითარებას, პროექტის მიზნები უშუალო კავშირშია პროექტის შედეგებთან. აღსანიშნავია,რომ პროექტით დასახული მიზნები ჩატარებული აქტივობების საფუძველზე პროექტის ბოლოს ჩვენს მიერ მიღწეულ იქნა. ასევე პროექტზე მუშაობა ხელს შეუწყობს გაკვეთილზე მიღებული და დაგროვილი ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას,ისტ-ის მეშვეობით მასალის მოძიებისა და დამუშავების უნარის განვითარებას, თანამშრომლობითი, საკუთარი აზრის ნათლად

	ჩამოყალიბების, გამოთქმისა და გადანაცვების უნარის განვითარებას, მოსწავლეთა შემოქმედებითი (სხვადასხვა სახის წერიტი ნამუშევრები) და საპრეზენტაციო უნარების განვითარებას.
ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტთან და მიზნებთან შესაბამისობა	ისტ. VII.1. მოსწავლეს შეუძლია დააკავშიროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებთან. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ისტორიულ მოვლენებს გადმოსცემს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, აკავშირებს ისტორიულ ფაქტებს ძველი და ახალი წელთაღრიცხვის სისტემასთან; • ინდივიდუალურად ან კლასში ჯგუფური მუშაობისას დროის ხაზზე (სკალაზე) აღნიშნავს ისტორიულ თარიღებს ან ისტორიულ პერიოდებს; • ასახელებს საუკუნესა და ათასწლეულს, რომელსაც კონკრეტული თარიღი მიეკუთვნება; ისტ. VII 4. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ინდივიდუალურად ან კლასში ჯგუფური მუშაობისას დროის სკალაზე აღნიშნავს ისტორიისთვის, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ ან ხუთ პოლიტიკურ მოღვაწეს და კლასის წინაშე საუბრობს მისი არჩევანის მიზეზებზე; • მოიპოვებს ინფორმაციას (სახელმძღვანელოსა და დამატებითი ბეჭდური მასალის/ელექტრონული მასალის საშუალებით) ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ და წერს თემას. ისტ. VII.9. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს რელიგიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებასა და მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. • ჯგუფური მუშაობისას რომელიმე ქვეყნის მაგალითზე მსჯელობს რელიგიური ტოლერანტობის შესახებ (როგორც წარსულში, ასევე დღეს); • რუკაზე უჩვენებს მისთვის ცნობილი რელიგიების

	წარმოშობის ადგილებს, გავრცელების დღევანდელ არეალებს და ჩამოთვლის მათთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკულტო ძეგლებს, სიმბოლოებსა და ტრადიციებს; ისტ.VII.10. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა კულტურის შემადგენელ ნაწილებზე. • ჩამოთვლის ცივილიზაციის ძირითად მახასიათებლებს; • სახელმძღვანელოში არსებული და დამატებით მოძიებული მასალის საშუალებით ადარებს არქიტექტურის, მხატვრობისა და ლიტერატურის უმთავრეს ნიმუშებს; • შეუძლია იმსჯელოს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში;
პროექტის შედეგები:	პროექტის შედეგად ამაღლდა პროექტის მონაწილე მოსწავლეთა ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ. პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების განვითარებას და მათ პიროვნულ-მოქალაქეობრივ სრულყოფას. განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა პრეზენტაციებზე მუშაობა, ამ აქტივობების საშუალებით პროექტის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოძიებული ინფორმაცია, ადგილზე გაეცნენ ისტორიული ძეგლების არქიტექტურას და სიდიადეს, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვა თითოეულ მათგანზე.
გამოყენებული მეთოდები:	ინდივიდუალური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, ჩანაწერების გაკეთება, ტექსტიდან და ფოტომასალიდან მიღებული ინფორმაციის შედარება-დამუშავება, წერილობით და ვიზუალურ წყაროებზე მუშაობა, მინი-ლექცია, შეფასებებისა და დასკვნების წერილობით ჩამოყალიბება.

პროექტის მონიტორინგი და შეფასება:	პროექტის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ თემატიკის გაგების ხარისხის მონიტორინგისათვის მივმართე გამოკითხვის მეთოდს, განვსაზღვრე მათი საბაზისო ცოდნა. მუშაობის პროცესში ვპასუხობდი მათ შეკითხვებს, რის საშუალებითაც ვაფასებდი მათ პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში ვაძლევდი მითითებებს. პროექტი წარმატებით განხორციელდა, რადგან მოსწავლეებმა შეძლეს ინფორმაციის მოძიება და მისი ორგანიზება, წარმატებით გაართვეს თავი აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციას. შეაფასეს ერთმანეთი წინასწარ შემუშავებული ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის შეფასების სქემების მიხედვით.
რესურსები	ინტერნეტიდან მოძიებული ფოტო მასალა, კომპიუტერი, ფოტოაპარატი.

დანართი № 7

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის

ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

ისტორიის წრის „პატარა მემეტიანეები“

სამუშაო პროგრამა

(2017-2018 სასწ.წ. II სემესტრი)

წრის ხელმძღვანელი: ნინო ონიაშვილი

წრის დასახელება: „პატარა მემეტიანეები“

წრის ხელმძღვანელი: ნინო ონიაშვილი

წრის დახასიათება

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით 2017-2018 სასწ. წლის I სემესტრში შევქმენი და ვუხელმძღვანელე ისტორიის წრეს „პატარა მემკვიდრეები“. საწრეო მუშაობამ ხელი შეუწყო საგნის პოპულარიზაციას, მოსწავლეებს გაუღვივდათ საგნისადმი ინტერესი და გამოთქვეს სურვილი, რომ II სემესტრშიც გაგრძელებულიყო ისტორიის წრის მუშაობა. მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან შეთანხმებით მოვახდინე VII კლასის ისტორიის სახელმძღვანელოდან საკვანძო საკითხების შერჩევა წრეზე განხილვისა და უკეთესად შესწავლის მიზნით. წრეზე სამუშაოდ შერჩეული მასალის ჩამონათვალი წინასწარ გავაცანი მოსწავლეებს, დავგეგმეთ წრის სამუშაო შეხვედრების დრო, ხანგრძლივობა და ადგილი. შევთანხმდით, რომ წრის მუშაობა შედგება თვეში ორჯერ (ყოველ ორ კვირაში ერთხელ), ექვსი გაკვეთილის შემდეგ.

მიზანი: წიგნიერებისა და ისტორიული კვლევა-ძიების უნარის განვითარება, მოსწავლეთა მოტივაციისა და აკადემიური დონის ამაღლება.

ე.ს.გ. -სთან შესაბამისობა:

ისტ. VII 1. მოსწავლეს შეუძლია დაადასტუროს ფაქტები და მოვლენები შესაბამის ისტორიულ ეპოქებიდან.

ისტ. VII 3. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებული სახელმწიფოს მმართველობის ფორმები.

ისტ. VII. 4. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობაზე ქვეყნის ისტორიაში.

განსახორციელებელი აქტივობები:

- 1). კითხვა-პასუხი წაკითხული მასალის ირგვლივ.
- 2). რუკაზე მუშაობა.

- 3).თვალსაჩინოებების დათვალიერება და საკუთარი აზრის გამოთქმა მოცემული მასალის შესახებ.
- 4). დოკუმენტური მასალის გაცნობა და მის შესახებ მსჯელობა.
- 5). შესასწავლი იმპერიის რუკის დახატვა.
- 6). კედლის გაზეთის შექმნა შესწავლილი თემიდან გამომდინარე.
- 7).მსგავსებისა და განსხვავებების ძიება ძველ და ახალ მასალას შორის.
- 8). სურათებისა და ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში მოცემული თემის ირგვლივ.

მოსალოდნელი შედეგი:

ვფიქრობ, საგნობრივ წრეზე მუშაობა გამოიწვევს მოსწავლეთა ინტერესს საგნის მიმართ, გაუჩნდებათ საკუთარი შესაძლებლობების მიმართ რწმენა და აღვილად მოახდენენ საგაკვეთილო პროცესში ჩართვას, მოახდენენ საკითხის ირგვლივ აზრის გამოთქმას. ვიმედოვნებ, რომ წრეზე მუშაობა შეუქმნის მოსწავლეებს დავალებების შესრულების მოტივაციას.

რესურსები:

დაფა, ცარცი, ფორმატები, სახელმძღვანელო, ევროპის რუკა, ინტერნეტი, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია, საბავშვო ენციკლოპედია 2009.

წრის მუშაობის პროგრამა	მუშაობის ხანგრძლივობა	შეხვედრების განრიგი	
1.მონღოლები და მათი დაპყრობები	1 საგაკვ. საათი	26.01. 2018	2.30სთ
2.კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები: მაია, აცტეკები და ინკები	1 საგაკვ. საათი	09.02.2018	2.30სთ
3.ჰუსიტური მოძრაობა	1 საგაკვ. საათი	23.02..2018	2.30სთ
4.ასწლიანი ომი	1 საგაკვ. საათი	16.03.2018	2.30სთ
5.ვარდების ომი	1 საგაკვ. საათი	30.03.2018	2.30სთ
6.ტიუდორები და სტიუარტები	1 საგაკვ. საათი	13.04.2018	2.30სთ
7.აბსოლუტიზმი საფრანგეთში. ლუი XIV	1 საგაკვ. საათი	27.04.2018	2.30სთ
8.პეტრე I-ის რუსეთი. რუსეთი და კავკასია	1 საგაკვ. საათი	11.05.2018	2.30სთ
9. ბავშვთა უფლებები	1 საგაკვ. საათი	25.05. 2018	2.30სთ

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

კვლევა ჩატარდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში. კვლევის მიზანი იყო დეტალურად შემესწავლა, თუ რა განაპირობებს მკვეთრად განსხვავებულ აკადემიურ დონეს VII კლასის მოსწავლეებში და გადამედგა პრაქტიკული ნაბიჯები დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლით, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება.

კვლევა განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში, გრძელდებოდა 5 თვის მანძილზე. მოსწავლეებისთვის საინტერესო იყო მრავალფეროვან და განსხვავებულ აქტივობებში მონაწილეობა, სასწავლო პროექტებზე და საგნობრივ წრეებში მუშაობა.

კვლევის დასრულების შემდეგ 2018 წლის 8 ივნისს შედგა შეხვედრა მე-7 კლასის მასწავლებლებთან და ასევე კვლევის სტრუქტურისა და შედეგებით დაინტერესებულ პედაგოგებთან. კვლევის წარდგემა მოვახდინე პრეზენტაციის სახით, რომლის დროსაც ვისაუბრე საკვლევი საკითხის შერჩევის, საკვლევი პრობლემისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ, ასევე კვლევის პრონციპებისა და მეთოდების, კვლევის პროცესში მიღებული გამოცდილების შესახებ. პრეზენტაციისას ყურადღება გვაუამახვილე

ინტერვენციების სწორად ვშერჩევისა და მათი განხორციელების ერთაშის შესახებ. კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. ჩემთვის საინტერესო იყო უკუკავშირი, რომელშიც პედაგოგებმა მოიწონეს საკვლევად ამ საკითხის არჩევა და საინტერესო იდეებიც მოგვანოდეს, დაინტერესდნენ შედეგებით. უკუკავშირი იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. კოლეგების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მსგავსი აქტივობები მხოლოდ აფერხებს სასწავლო პროცესს და არ ეხმარება მოსწავლეებს წინსვლაში. ხოლო მეორე ნაწილს გაუჩნდა სურვილი, რომ თვითონაც განახორციელონ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. უკუკავშირი საინტერესო და ეფექტური აღმოჩნდა, დაგვაფიქრა იმაზე, რომ კიდევ უამრავი აქტივობის მოფიქრება შეიძლება ამ კუთხით; კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები და გზები - ამოუწურავი.

სურვილი მქონდა მასწავლებლების უფრო ფართო ჯგუფისთვის გამეზიარებინა ჩემი გამოცდილება, ამიტომ 17.06.2019 წელს ავტვირთე და გავაზიარე facebook -ის დახურულ ჯგუფში „პედაგოგთა პროფესიული ზრდის ფგასილიტატორები“.

<https://www.facebook.com/groups/1615428572054923/permalink/2273182779612829/>

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით VII კლასის მშობლებსა და მასწავლებლებს, რომლებმაც არ დაიზარეს და მონაწილეობა მიიღეს წერილობით ანკეტირებაში, ასევე სასწავლო ნაწილს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გვინევდა თანადგომას და მხარდაჭერას.